ახლა, გაზეთის სიტყვით, ამერიკის საზღვაოებმა ხელი აიღო თავის პრეტენდენტ განზრახვაზე გადაეტანა წყალქვეშა ბომბი, თუ მას ამოიღებენ ესპანეთის სანაპიროს სამხედრო-საპაერო ბაზაში. ახლა ჩამბს „რაც შეიძლება მალე ჩაიტანენ შეერთებულ შტატებში“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესპანეთის ხელისუფლებაც კი არ ეკრძალებათ შესაძლებლობა დარწმუნებინენ, მართლაც იპოვეს თუ არა ესპანეთის სანაპიროსთან პენტაგონის საშინელი საჩუქარი.

ყალდიდობა... მიწისძვრა

ხაბარტა, 22 მარტი. (საკდესი). ქალაქი სურაკარტა და ვონოგირის, სრაგენის, სუკობარჯოს ოლქები, აგრეთვე კლატენის ნაწილი დაზარალდნენ ძლიერი წყალდიდობისაგან.

ადიდდა მდინარე ბენგავან-სოლო. სურაკარტისა და სუკობარჯოს 300 ათასამდე მცხოვრები უსაბლკოდ დარჩა. უკანასკნელი მონაცემებით სუკობარჯოს ოლქებში წალეკილია 68 სოფელი, სრაგენის ოლქში კი 26.

წყალდიდობის შედეგად შეწყდა ელექტროენერგიის გადაცემა და სატელეფონო კავშირი.

წყალდიდობა ეროვნულ უბედურებად გამოაცხადეს.

ყველაზე მეტად დაზარალდა სურაკარტის რაიონი, სადაც, განსგარიშების თანახმად წყალდიდობით გამოწვეული ზარალი დაახლოებით 1 მილიარდ ახალ რუპიას შეადგენს.

გენერალმა სუხარტომ განკარგულება გასცა 1 მილიონი ახალი რუპია გაიღონ ცენტრალური იავის მოსახლეობის დასახმარებლად.

22 მარტს 11 საათზე 28 წუთსა და 52 წამზე მოსკოვის დროით ცენტრალურმა სეისმურმა სადგურმა „ბოსკოვმა“ აღრიცხა, რომ მოსკოვიდან 6.000 კილომეტრის დაშორებით ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

საბჭოთა კავშირის სეისმური სადგურების მასალების დამუშავებამ მოწაცემებით ამ მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს აღმოსავლეთ ჩინეთში, პუნქტში, რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 36 გრადუსი და აღმოსავლეთის გრძედის 116 გრადუსი.

/ეპიცენტრში მიწისძვრის სავარაუდო სიძლიერე 10 ბალია 12 ბალიანი სკალით. (საკდესი).

ამერიკელი კოსმონავტები კიუსტონში

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტები ნ. არმსტრონგი და ჯ. სკოტი „ჯემინი-8“ ხომალდით ფრენის შემდეგ, რომელიც იმუშაებდნენ დაჯდომით დამთავრდა, გუშინ ჩავიდნენ ჰიუსტონის (ტეხასის შტატი) საკონტროლო სარაკეტო ცენტრში. კოსმონავტები შეხვდნენ თავიანთ ოჯახებს. ხანმოკლე დასვენების შემდეგ არმსტრონგი და სკოტი დაამთავრებენ ფრენის დროს მიღებული ინფორმაციის გაშიფვრას. ჰიუსტონში კოსმონავტები გააკეთებენ მოხსენებებს ფრენის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც, როგორც ფიქრობენ, შეწყდა ხომალდის ერთ-ერთ სასტაბილიზაციო რაკეტის ანთების სისტემაში მოკლე შერთვის გამო. არმსტრონგისა და სკოტის მოხსენებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საკგენტო აღნიშნავს მათმა მოხსენებებმა შეიძლება კიდევაც შეცვალონ იმ კოსმოსური პროგრამების „მიმართულება, რომლებიც „ჯემინაის“ ტიპის ხომალდებით უნდა განხორციელდეს“.

კოსმონავტთა პრეს-კონფერენცია დანიშნულია 26 მარტს.

ჩინეთ-იაპონიის ვაჭრობა

ტოკიო, 21 მარტი. (საკდესი). საბაჟო სტატისტიკის მონაცემებით, იაპონიის ვაჭრობამ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან შარშან პირველად გადაჭარბა 1 მილიარდ დოლარს. ეს შეადგენს იაპონიის 1965 წლის მთელი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 6 პროცენტს. იაპონიის მთავარი სავაჭრო პარტნიორი სოციალისტურ ქვეყნებს შორის შარშან ჩინეთი იყო ნახევრად სახალხო რესპუბლიკა. იაპონია-ჩინეთის ვაჭრობამ 1965 წელს თვეშის 470 მილიონ დოლარს მიაღწია. მეორე ადგილზეა საბჭოთა კავშირი (408 მილიონი დოლარი).

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არა აქვს სახელმწიფო შეთანხმება იაპონიასთან ვაჭრობის შესახებ, იგი შარშან მეხუთე ადგილზე გამოვიდა იაპონიის საგარეო ვაჭრობაში ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, კანადისა და ფილიპინების შემდეგ. გასული წლის მონაცემები მიუთითებენ, რომ იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის მოცულობა ძალიან სწრაფად იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1962 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 25-ე ადგილი ეკავა იაპონიის საგარეო ვაჭრობაში.

საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ცნობით, რომელიც წარსულ კვირაში გამოქვეყნდა, მიმდინარე წლის თებერვალში ჩინეთი იაპონიის ექსპორტის მეორე ბაზარი გახდა თავისი მნიშვნელობით.

პირველი ადგილი იმ ქვეყნების სიაში, სადაც იაპონიას გაეჭიანდა თავისი საქონელი წარსულ თვეში, დაიკავეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ინდოეთ-პაკისტანის დაძაბულობა

ბომბეი, 21 მარტი. (საკდესი). ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა ისევ ძაბულია.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

კანადაში — გამოფენაზე

ჰიათურელებმა გზა დაულოცეს ქართულ მარგანეცს

ჰიათურა. (საკ. კორ.). ახლახან მარგანეცის ქალაქში საინტერესო ამბავი მოვიდა. „საქნახშრომადნეულძიების“ ტრესტიდან იტყობინებიდნენ, კანადაში ნიაღისეულ სიმდიდრეთა მსოფლიო გამოფენა ეწყობა, გთხოვთ უმაღლესი ხარისხის მარგანეცის ნიმუშები გამოგზავნოთო.

ასეთი ნიმუშების შერჩევა მიენდო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც ორდენოსანი გ. ხვედელიძე უძღვება.

ბრიგადის წევრებმა საგულდაგულოდ შეარჩიეს და ყუთში მოათავსეს ნიმუშები. ეამაყებათ, რომ ჰიათურული მადანი კანადის გამოფენაზე მოხვდება, და იხიე სჭერათ, რომ ქართული მარგანეცი ღირსეულ შეფასებას მიიღებს.

ქარხნის ბიბლიოთეკა

ბათუმის ქარხანა „ელექტროლესწყო“ ახალი საწარმოა. ქარხანას ბიბლიოთეკა არ ჰქონდა. მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნითა და ადგილკომის ინიციატივით ახლახან აქ გაიხსნა ბიბლიოთეკა. მისი წიგნის ფონდი 12 ათას ეგზემპლარზე მეტია. მკითხველთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი დარბაზი.

აქ ერთი კარგი საქმე წამოიწყეს. იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ქარხანაში მუშაობენ და უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, ეწყობა კონსულტაციები მათთვის საჭირო თემებზე.

ხ. ჯინჯარაძე.

ფეიქართა ანსამბლი

ბერი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ბამბეულის კომბინატის კლუბთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი — რესპუბლიკური დათვალიერების ლაურეატი (მხატვრული ხელმძღვანელი მ. შუბაშიკელი, ქორეოგრაფი ა. კუპრაძე).

ფეიქარ მოცეკვავეებს კარგად იცნობენ აგრეთვე კოლეგები — მოსკოვის, ლიკინოს, ორეხოვო-ზუევოს და სხვა ქალაქების ფეიქრები.

მკითხველის კალმით

▲ ამ დღეებში თბილისის კიროვის რაიონის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის რესპუბლიკურ სახლში გაიხსნა ათეიზმის სახლი.

შეკრების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს ათეიზმის სახლში გამოფენილი ექსპონატები: „მეცნიერება და რელიგია დედამიწის ისტორიის შესახებ“, „ადამიანის განვითარება და ოელიგიის წარმოშობა“, „ხელოვნების ანტისაზოგადოებრივი არსი“, „ადამიანი კოსმოსში“ და სხვ.

ათეიზმის სახლის ხელმძღვანელობისათვის შექმნილია ათეისტთა ხაბჭო. საბჭოს აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ლექცია-მოხსენებების, ბაუბრების ხშირად მოწყობას.

დ. ჩაკაბერია.

△ ამ დღეებში ჩოხატაურის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს პოეტ კალე ბობოხიძეს.

შეხვედრა-საღამო, რომელიც სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა, გახსნა კულტურის განყოფილების გამგემ რ. თედორაძემ. მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „კომუნიზმის განთიადის“ პასუხისმგებელი მდივანი ალ. სანადირაძე.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა პოეტი და წაიკითხა ლექსები. შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ე. ჭიჭინოშვილი.

△ ყალტაზე. (საკ. კორ.). ყოველწლიურად მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება კურორტი ყალტაზე. მის შემოგარენს მარშალ 70 ჰექტარი ტყე შეემატა. წელს ყალტაზე სატყეო მეურნეობა კიდევ 100 ჰექტარზე გააშენებს ტყე-პარკებს.

ფართოვდება ყალტაზე-ქუთაისის გზატკეცილის მშვენე სარტყელი, გაშენებულს ევატრეტა ახალ ნარგავთა ზოლები. გზის ორივე მხარეს დაიწყეს კვიპარისის, კედრის, ფიჭვის, აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ხეივნების გაშენება.

სატყეო მეურნეობის კოლექტივი ტყე-პარკებსა და ხეივნებს საკუთარი სანერგე მასალით აშენებს.

ეს საინტერესოა

საიდუმლოებით მოცული ხის მოკ

ბუნების უცნაურობათა შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ასეთი კი მართლაც რომ უიშვიათეს მოვლენებს მიეკუთვნება. წარმოიდგინეთ — შიშველ ტუნდრაში, სადაც ირგვლივ მრავალ კილომეტრზე არც ერთი ხე არ დგას — შეხვედეთ გორას, რომელიც მთლიანად ხის მორებისაგან წარმოშობილა.

გეოგრაფიაში ცნობილია ნაოჭა, ჩამონაყარი გორები, ვულკანური წარმოშობის მთები, მაგრამ თუ როგორ წარმოიშვა ეს მთა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

აი რას გვიამბობს ახალი ამბების სააგენტო: „ერთ ზამთარს მანქანით მივემგზავრებოდი მძღოლთან ერთად გაყინულ ობოლოზე (მდინარეა იაკუტიაში, რომელიც ლაპტევის ზღვას ერთვის). მძღოლმა ყურადღება მიაქცია, რომ ხრამის კალთებზე გამოშვერილი იყო უამრავი ხის ტანი, — წერს კ. ლისიცინი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია იაკუტიაში“, — შევჩერდით. მოვედით ახლოს, აღმოჩნდა, რომ მთელი უზარმაზარი გორა ხეებისაგან იყო აშენებული“.

ადგილობრივმა მკვიდრებმა დიდი ხანია იციან ამიერპოლარეთის ამ ბუნების ხასიათული. მან მაას-ხაიას უწოდეს, რაც ხის გორას ნიშნავს.

თუ როგორ დაგროვდა ამდენი ხე ერთ ადგილას შიშველ ტუნდრაში, ჯერჯერობით ამოუხსნელია. საინტერესოა ერთი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ გორაში ხე ვერავ ქვიშას ენაცვლება. მან ჯერ კიდევ ვერ მოუხწრია გაქვავება. ესე იგი მთის ასაკი გეოლოგიური შეხედულებით არცთუ ისე დიდი უნდა იყოს.

ქალაქი ბიბლიოთეკა

ნახატი ბ. იაშვილისა.

სად ხარ, ქალდეკრეოზ?

დიდი საფეხბურთო სკანდალი მოხდა კიროშა. ორმოც ათასამდე ფეხბურთის გულშემატკივარმა, რომლებიც არ დაეთანხმნენ მსაჯთა გადაწყვეტილებას, ნამდვილი ამბოხება მოაწყვეს. საჭირო გახდა პოლიციის რაზმების ჩარევა. საქმე იმით დამთავრდა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ფეხბურთის ასოციაციამ აუკრძალა ამ დღეს მოთამაშე გუნდებს „ზამალეტსა“ და „ეროვნულ სასპორტო კლუბს“ მიმდინარე სეზონსა და მომავალ წელს გამოვიდნენ თავიანთ მინდვრებზე.

მაგრამ სპორტულ სამყაროში ეს გახმაურებული მოვლენა დაიჩრდილა ლონდონში მომხდარი ამბით.

...იგი ოცდათი წლისაა. საშუალო სიმაღლის, გამხდარი, მას მუქი თმები და მოყავისფრო თვალები აქვს, მარჯვენა ლოყაზე კი ნაიარევი. ამ ადამიანის აღწერილობა ყველა ლონდონელმა პოლიციელმა მიიღო. შესაძლოა, სწორედ მან მოიპარა ფეხბურთის უმაღლესი პრიზი — „ოქროს ქალღმერთის“ თასი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონებს გადაეცემათ ხოლმე.

ეს კაცი დილის 11 საათისათვის შენიშნეს ვესტმინსტერის სასახლეში ცარიელი დარბაზის მახლობლად, სადაც „სასპორტო მარკეტის“ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფეხბურთის უმაღლესი ჯილდო, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ მოიპარეს. ამ დღეს გამოფენა დაკეტილი იყო.

ხახენაიარევი კაცი ჯერჯერობით ერთადერთია, ვისზეც ეჭვი მიტანილი სენსაციურ ქურდობაში. უფრო მეტიც: ყბადაღებული სკოტლანდ-იარდის მაძებრებს მეტად მცირე იმედი აქვთ იმისა, რომ თასი ფეხბურთის ჩემპიონატის ორგანიზატორებს დაუბრუნონ. სკოტლანდ-იარდის მთავარი ინსპექტორი ჯილიამ ლიტლი, რომელსაც ამ საქმის გამოძიება დაევალა, ამბობს, რომ თასის გაყიდვა ქურდებს მეტად გაუძნელდებათ, რადგანაც ამ პრიზს მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ, მაგრამ ხომ შეიძლება თასის გადადნობა და მისი კი არა, იმ ოქროს გაყიდვა, რომლისგანაც გაკეთებულია თასი.

უნდა ითქვას, რომ „ქალღმერთი“ დაზღვეულია 30 ათას ფუნტ სტერლინგად (84 ათასი ოქროარი). მაგრამ თუ თასი გადადნეს, მაშინ ოქროს ღირებულება ათჯერ ნაკლები აღმოჩნდება.

თუმცა ეს, როგორც იტყვიან, დიდი ვერაფერი შეღავათია. ინგლისმა, რომელიც პირველად აწყობს ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს, კვლავ შერცხვენა თავი გახმაურებული-ქურდობით (და უკვე მერამდენიმეჯერ).

საქმე მართლაც სკანდალურია. თაღლითობა დღისით-მზისით უხმაუროდ გაალეს სავაჭროფენა. დარბაზის გვერდით კარი და მინის ხუფიდან (ხუფის გაუტეხავად) გამოიღეს ფეხბურთის ჩემპიონების პრიზი, რომელსაც ოფიციალურად „ეიულ რიმეს თასს“ უწოდებენ. (ასე ერქვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს). თანაც თასის მეგული ექვსიოდ მოთამსახურეს შინობაში იყო. დეტექტივთა სიტყვებით ამ „მეგელებმა“ დილის 11 საათზე ერთხელ კიდევ შემოუარეს დარბაზს. დარწმუნდნენ, რომ თასი ადგილზეა, და მშვიდად გავიდნენ... და ამის შემდეგ „ოქროს ქალღმერთი“ გაქრა.

„სამწუხაროდ დაცვა სულაც არ იყო. იქ სადაც უნდა ყოფილიყო მაშინ, როცა საჭირო იყო“, — სინანულით ამბობს ლიტლი.

საყურადღებოა, რომ ბოროტმზრახველებს (შესაძლოა ეს იყო ის ნაიარევიანი კაცი) ხელიც არ უხლიათ მარკეტის არც ერთი უნიკალური კოლექციისათვის, რომლებიც გამოფენილი იყო ვერნისაჟში და რომლებიც სამ მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

იქნებ „იხუმრეს“ სტუდენტებმა, რომლებიც ამ დღეებში მხიარულ ფეხტიერალს აწყობენ? არ ვიცი. მაგრამ ეს უკვე მესამე „ინგლისური“ შემთხვევაა სასპორტო ჯილდოების მოპარვისა, რომლებიც პატრონებს არ დაბრუნებიათ. პირველი შემთხვევა მოხდა 1895 წელს. როცა გაქრა ინგლისის ფეხბურთის მთავარი პრიზი, ფეხბურთის ასოციაციის თასი. მეორე ოქროს თასი — ცხენოსანთა ერთ-ერთი უძვირფასესი ჯილდო 1907 წელს ცხვირწინ აეცალეს პოლიციის ოფიცერსა და მეფე ედუარდ VII-ს. ახლა კი თითქოს „პორთქლდაო“ 4 კილოგრამიანი ოქროს ქანდაკება.

თასის საიდუმლოდ გაკრობამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. დეპეშათა სააგენტოები მთელ მსოფლიოში აგრცელებენ ასალ-ახალ ამბებს ამ მოვლენის შესახებ. ფინეთია ფეხბურთის ასოციაციის წევრი იონ გუსტაფსონი ამ ისტორიას „ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიაში ყველაზე დიდ სკანდალს“ უწოდებს. ამასთან ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელმა ციურიხში განაცხადა, რომ ეს ისტორია ეხება მხოლოდ ინგლისის ფეხბურთელთა ასოციაციას და ოდნავადაც არ ეხება საერთაშორისო ფედერაციას.

იოტა არ იყოს მოგვიანებულია ჰოლანდიის სამეფო ფეხბურთის ფედერაციის მდივნის ლო ბრუნტაის ირონია: „განა არ ჯობდა ჩემს ინგლისელ კოლეგას დენის ფოლოუზს „ქალღმერთი“ საწოლქვეშ რომ შეენახა. ძველ ფიხსაცმელებთან ერთად. როგორც ეს ქნა მეორე მსოფლიო ომის დროს დოქტორმა ოტო რინო ბარასიმ“ (მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში იტალიის ეს ახლანდელი წარმომადგენელი ასეთი ხერხით უმალავდა თასს ფაშისტებს — ვ. ბ.).

„სასპორტო მარკეტის“ გამოფენის ხელმძღვანელი სეფილ რიჩარდსონი, რომელმაც სახათაბალოდ მოითხოვა თასი დემონსტრაციისათვის, იმედოვნებს, რომ „ეს სიმბოლური გაქრობაა და თასი კვლავ დაბრუნდება“, „მაგრამ, — თქვა მან, — რა თქმა უნდა, მეტად შეშფოთებული ვართ“. ხოლო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ ჰაუელმა, რომელიც ამავე დროს სპორტის საკითხებსაც განაგებს, განაცხადა: „თავი მოგვეპრა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თასისი ქურდებს ინგლისის სახელის პატივისცემის ნატამალი მაინც გააჩნიათ, და ისინი დაგვიბრუნებენ მსოფლიოს ჩემპიონთა პრიზსო.

ამასობაში ლონდონში უკვე სასწრაფოდ ახორციელებენ ღონისძიებებს თასის შესაცვლელად.

ვ. ბაბაკინი.

ნახატი კიროვინის სპორტული მიმომხილველი.



განგსტერები თუ სტუდენტები?

ლონდონი, 22 მარტი. (საკდესის კორ.). სალამოს ბრიტანეთის პრესის ასოციაციაში ტელეფონმა დარეკა. ყრუ ხმით ვილაცამ ჩქარა თქვა: „ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. სტუდენტების ხუმრობა. თუ შეიტანთ 50 გირვანქა სტერლინგს საკელმოკმედო მიზნებისათვის, „ოქროს ქალღმერთი“ დაგიბრუნდებათ“. და მაშინვე დადეს ყურმილი.

ეს ზარი ერთადერთი როდი იყო. ვიღაცამ არ ისურვა დაუსახელებინა თავისი გვარი და დარეკა სკოტლანდ-იარდშიც. მან განაცხადა: ფიულ რიმეს თასი ლონდონის ისტ-ენდში „გრეიჰაუნდის“ სტადიონზეაო.

თუმცა პოლიციის დეტექტივები სკეპტიკურად ეკიდებიან ამ ტელეფონის ცნობებს. „ხუმრობაზე ლაპარაკი — მხოლოდ ხუმრობაა“, — აცხადებენ ისინი. კვლავ წარმოუდგენელია ფეხბურთელთა დაკარგული ტროფეის ენერგიული ძებნა. კვლავ ეჭვია მიტანილი „ვინწროტუჩიან და შავთმიან ტანწერწეტა ჯენტლმენებზე“ — და რამდენია ასეთი ჯენტლმენი ლონდონში!

მსოფლიოს და ინგლისის სპორტული ხაზოგადოებრიობა კი აღშფოთებულია. „წარმოუდგენელია. მაგრამ ფაქტია“, „აღშფოთებულია“, „სირცხვილი“ — ასეთი ანშლაგებით აკრეფილებულია გაზეთების ფურცლები. „ოლიმპიური ასპარეზობანი ქურდებისათვის რომ ეწყობოდეს, დიდი ბრიტანეთი ყველა პრიზს მოიპოვებდა. ქვეყანამ, სადაც მძარცველებმა მოიტაცეს ერბაშად 2.500 ათასი გირვანქა სტერლინგი საფოსტო მატარებლიდან, კვლავ დაამტკიცა, რომ მას მსოფლიო პირველობა ეკუთვნის“, — წერს ლონდონის გაზეთ „ხანის“ მიმომხილველი. თუმცა ახეთი „დაფნის გვირგვინი“ არავინ არ შეშურდება.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სტენლი როუზმა, რომელიც ნიუ-იორკში იმყოფება, ჟურნალისტთა ამბავი კორესპონდენტებისაგან შეიტყო. ამ ცნობით თავზარდაცემულმა როუზმა მხოლოდ ის-და მოახერხა ეთქვა: დაუყოვნებლივ ვბრუნდები ლონდონში, რათა „უშუალოდ მოვკიდო ხელი ამ საქმესო“.

განსაკუთრებით დიდია აღშფოთება ჩეეთანაში, რომლის ფეხბურთელები ახლა ირიან „ოქროს ქალღმერთის“ მფლობელები (თუმცა ახლა უკვე არარსებულს!), „ეს არასოდეს არ მოხდებოდა ბრაზილიაში“, — განაცხადა ბრაზილიის სახპორტო კონფედერაციის წევრმა ალბინიმ ტებეტმა. „ჩვენთვის ეიულ რიმეს თასი არა მარტო ოქროა, ეს არის ჩვენი სპორტული ისტორიის სიმბოლო. მიმდინარე წელს მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვების იმედი. ბრაზილიელ ქურდებსაც კი იმედენად უყვართ ფეხბურთი, რომ ასეთ ქურდობას არ ჩაიდენდნენ“.

ინგლისის გაზეთები ახლა იგონებენ, რომ იანვარში, როცა ბრაზილიელებმა ჩამოიტანეს „ოქროს ქალღმერთი“ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურის ცერემონიაზე, ისინი აფრთხილებდნენ, ინგლისელთა ღონისძიებანი თასის დასაცავად საკმარისი არ არისო. ოვით ბრაზილიაში თასი ინახებოდა ერთ-ერთ ბანკში. იმ. იშვიათ შემთხვევებში, როცა თასი ექსპონატად მიჰქონდათ გამოფენაზე, ეწყობოდა მთელი დღე-ღამის დაცვა. პოლიციელები თასის ოთხივე მხარეს იდგნენ და დამთვალიერებლებს ნებას არ აძლევდნენ მეტრონახევარზე უფრო ახლოს მისულიყვნენ მასთან.



თქვენ რას იტყვით?

ვიპოდეთ კარგის დაფასება

ჩემი ყურადღება მიიპყრო „ვეჩერნაია მოსკოვში“ დაბეჭდილმა პატარა შენიშვნამ. შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ მოსკოველ საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად მოსკოვში ადგენენ იქნება რესტორანი „სლავიანსკი ბაზარი“. აღდგენილ იქნება ძველი ნახაზებისა და აღწერების მიხედვით, იმ სახით, როგორიც იგი ასი წლის წინათ იყო.

რუსული ლიტერატურის მოყვარულთა და მცოდნეთათვის „სლავიანსკი ბაზარი“ ძალიან კარგად არის ცნობილი. აქ იტანჯებოდნენ გმირები ჩეხოვის მოთხრობისა „მანდილოსანი ფინიათი“, აქ ჩერდებოდნენ ლევ ტოლსტოის პერსონაჟები. აქ ისხდნენ ხოლმე რეპინი და გალიაროვსკი, სტასოვი და შალიაპინი. აქ 1897 წლის ივნისში ერთ-ერთ კაბინეტში მოხდა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თვრამეტსაათიანი შეხვედრა, რომლითაც დაიწყო განთქმული მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი...

ამ ცნობამ მეტისმეტად გამახარა და ამავე დროს ერთგვარად დამაფიქრა: თბილისში თუ გვაქვს ისეთი ადგილი, სადაც შეიძლება ჩამოსული მეგობართან ერთად შეიარო და არა მარტო ერთი ბოთლი კარგი კახურით გაუმასპინძლდე, არამედ აგრძნობინო ქალაქის არომატიც, მხოლოდ თბილისისათვის დამახასიათებელი და ამიტომაც განუმეორებელი ეგზოტიკის მშვენიერება.

სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ტრაქტირს დიდისანია აღარ უყურებენ როგორც დაწესებულებას, სადაც სმა შეიძლება, ასე ვთქვათ, „სახალხო კვების წერტილ“. პრაღის რესტორანები და ლუდხანები მთელ ევროპაშია განთქმული. იქ არ არის არც თავაშვებული ქეიფი, არც აყალმაყალის ატეხა, არც ფულის უთავბოლოდ ფლანგვა, სამაგიეროდ არის ძველი დროის განუმეორებელი არომატი და კარგი ეგზოტიკა — იქ პრაღის სული იგრძნობა. სწორედ ამით არის ძვირფასი ეს ტრაქტირები. ჩემთვის, ისევე როგორც ყოველი თბილისელისა თუ ჩამოსულისათვის, სულერთია რომელ რესტორანში ვისადილებ — „საქართველოში“, „ინტურისტში“ თუ „რუსთაველში“. ისინი ტყუპივითაა ერთმანეთის... ჩვენულებრივი „სახალხო კვების ტიპაჟია“...

დავუბრუნდეთ პრაღას. პრაღის კრემლის სარსტაკვრაციო კომისიამ ამ მთავარი არქიტექტურული ანსამბლის შიგ ცენტრში აღადგინა... ლუდხანა, რომელსაც „ანნ ბროუჩეკის რესტორაცია“ ეწოდება. ბროუჩეკი შესანიშნავი სატირიკოსის სვატოპლუკ ჩეხის ცნობილი მოთხრობის გმირია. ბროუჩეკს უყვარდა ჯდომა სწორედ ამ „რესტორაციაში“. მწერლის ხსოვნა უკვდავყოფილია არა მუზეუმით, არა მემორიალური დაფით, არამედ ჩვეულებრივი ლუდხანით. მთელი კომპანიები, ცალკე ოჯახები, ახალგაზრდა წყვილები მოდიან აქ სადილობის შემდეგ, განსაკუთრებით საღამოობით.

მეორე პოპულარული ტრაქტირი „ფლეკეკბა“ დაარსებულია XV საუკუნეში. დრო აქ არაფერს არ შეხებია — დგას მუხის მაგიდები და სკამები, კიდია ეტლის თვლისაგან გაკეთებული ჭაღი, კედლებზე — ძველებური მხატვრობა. მეორე სართულზე მიმავალი კიბე ... ადგილები პრაქტიკულად არ არის ხოლმე. აქ არ ილეგიან უცხოელი ტურისტები.

შესასვლელთან შეგიძლიათ იყიდოთ ხელსახოცები, სირჩები, ლუდის ტოლჩის მუყაოს ჩასადგმელები, რომლებზეც გამოსახულია ზვიკის მოღიმარი ფიზიონომია. ეს გულთბილი ზრუნვა მიმსვლელებისათვის ცივ ეკონომიურ ანგარიშს ემყარება: ყოველი ტურისტი სუვენირების მოყვარულია, ყოველი ტურისტი ცდილობს თან წაიღოს რამე ქალაქის, ქვეყნის მოსაგონრად.

აი ასე ერთად ცოცხლობენ პრაღელთა და უცხოელ სტუმართა სასიხარულოდ ტრადიცია, ისტორია, ლიტერატურა, თეატრი და „სახკვების წერტილ“, რომლებსაც თავიანთი არაჩვეულებრივი კავშირით საოცრად კოლორიტული და ხაზს ვუსვამ, შემოსავლიანი დაწესებულება შეუქმნიათ.

ძალაუნებურად ადარებ ამას ჩვენს დედაქალაქს. ბევრ ქალაქში ვყოფილვარ, და ყალი პატრიოტიზმის გრძნობის უქონლად, სრული ობიექტურობით შემიძლია ვთქვა, რომ თბილისი უალრესად თავისებური და საინტერესოა როგორც ქალაქი. თუმცაღა ამას ტურისტების სულ უფრო მზარდი ნაკადიც ამტკიცებს. ეს ნაკადი ტურიზმის საერთო განვითარების მეოხებით იზრდება. სამწუხაროდ, თვითონ ჩვენ ცოტას ვაკეთებთ ტურისტების უფრო ფართოდ მოზიდვისათვის.

გასულ ზაფხულს თბილისში სტუმრად იყო პოლონელ ჟურნალისტთა ჯგუფი. ერთ მათგანს დავუმეგობრდი და პირადი ინიციატივის წესით ვიკისრე, რომ ქალაქს ვაჩვენებდი. დილით ადრე ორთაჭალაში წავედით. სახლები მტვრდისფერ ნისლში გახვეულიყვნენ და მტვრის ილუეტი თითქოს ამტკიცებდა ოყო ცის ფონზე. ნარიყალას კოშკები მრისხანედ ჩაფიქრებულნი იდგნენ. ქვაფენილზე ნალების წკრიალი გაისმა — მემაწყნეს ვირით მაწონი მოპქონდა. ყოველივე ეს ისე არაჩვეულებრივი და მოულოდნელი იყო, რომ ჩემს მეგობარს — პოლონელს სიტყვა ვერ ეპოვნა თავისი აღტაცების გამოსახატავად. მგრამ შტეფან კოზაჩეკის თვალებში ვხედავდი, რა აღტაცებული იყო იგი ნანახით. შემდეგ შევედით გოგირდის აბანოში (ესეც, უნდა ითქვას, თავისებური ღირსშესანიშნაობაა, რომლის არსებობა მეტ წილ ტურისტებს ფიქრადაც არ მოსდით), იქიდან — სახაზეში. ხაში ჩინებული იყო, მაგრამ მაინც უსერბულად ვგრძნობდი თავს. უხერხულად — სახაშის გამო, რომელიც არაფრით არ გასხვავებდიდა ჩვეულებრივი სასაუზმისაგან, ალუმინის თეფშების. მაგიდაზე ჭეშეყიანი ხეფრებისა და ნამცხვრევი, ზღაზნია ოფიციანტის გამო.

საღამოს ფუნიკულორის რესტორანში ვიგალხმეთ. შტეფანი აღტაცებული იყო ღამის თბილისის განუმეორებელი პეიზაჟით, შემდეგ კი მითხრა:

— მოდი თქვენი ფიროსმანის დუქანში წავიდეთ.

უნდა ითქვას, რომ პოლონეთში ფიროსმანი ძალიან პოპულარული, მეტადრე მას შემდეგ, რაც იუნესკომ იუბილეი აღნიშნა. იცნობენ ფიროსმანის ბედსაც. იციან, რომ ბევრ თავის შედევრს ფიროსმანი პირდაპირ დუქნების კედლებზე ხატავდა და გასამჯელოდ მათლაფა ხაშს იღებდა. და აი ახლა შტეფანი მთხოვს ასეთ დუქანში წავიყვანო. რა შემეძლო მეპასუხნა?

პატარა მაგიდას ვუსხედით და შეეიქცეოდით შემწვარ ყიზილას, როგორიც შეგიძლიათ ჭამოთ მოსკოვში ან ვარშავაში. ვუსმენდით ორკესტრს, რომელსაც მოისმენთ ვარშავაში ან პრაღაში. გვემსახურებოდნენ ოფიციანტები, ზუსტად ისეთები, როგორიც პრაღაში ან ვენაში არიან. და არაფერი არ იყო ისეთი, რაც შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ თბილისში იყოს.

ხომ შეიძლებოდა წამიყვანა შტეფანი სავახშმოდ ისეთ რესტორანში, რომელიც სტილიზებული იყოს დუქნად? გავმასპინძლებოდი ნამდვილი ქართული კერძებით, შავ ახალოხიან ოფიციანტებს კი დვინო ხელადებით მოპქონდეთ და არა ბოთლებით. განა არ შეიძლება გაიხსნას ასეთი რესტორანი, და ერთი კი არა, რამდენიმე? რა თქმა უნდა ალბად გამონდებიან ადამიანები, რომლებიც ასეთ ღონისძიებას თითქმის ანტისაზოგადოებრივ მოვლენად, ბურჟუაზიული გადმონაშთების გამოვლინებად მიიჩნევენ. მაგრამ ჩვენ ერთი რამ ვიცით: ქალაქისაგან, ქვეყნისაგან შთაბეჭდილებას ტოვებენ არა მარტო ახალშენებობანი და არა მარტო ახალი წარმატებანი. შთაბეჭდილებას ისიც ტოვებს, რისგანაც წარმოიშენენ ეს ახალშენებობანი. მხოლოდ ძველისა და ახლის შეხამებას შეუძლია მოგვცეს სრული წარმოდგენა ქალაქზე, ქვეყანაზე, ხალხზე.

გიამბეთ მხოლოდ ის, რაც ვნახე, რაც ვიცი. ვფიქრობ, რომ მკითხველები იტყვიან თავიანთ მოსაზრებებს და ეს საუბარი გაგრძელდება.

ვ. ქაჯაია.

ფინიშის ჭინ

ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა უძლიერესმა კოლექტივებმა საკავშირო ჩემპიონატის ფინიშთან ერთი დღით შეისვენეს და ღღეს კვლავ ჩაებმებიან ბრძოლაში.

ჯერ კიდევ ოთხი ტურით ადრე ჩემპიონი უკვე ცნობილი იყო. ეს ტიტული მეშვიდეჯერ მოიპოვა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ძლიერმა კოლექტივმა.

ახლა ბრძოლა მიმდინარეობს მომდევნო ორი საპრიზო ადგილისათვის. მთავარი პრეტენდენტები არიან კიუნახის „ფალგორიისა“ და კიევის „სტრო�ტელი“. თვითეული მათგანს 12 ქულა აქვს. სატურნირო ცხრილში 11 ქულით მეოთხე ადგილი უჭირავს რიგის ვეფს. ათ-ათი ქულა აქვთ ლენინგრადის „სპარტაკსა“ და რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს. 19 შესაძლებლობიდან ცხრა-ცხრა ქულა შეაგროვეს ტარტუს „კალევმა“ და კიევის სკა-მ. ხვერდლოვსკის „ურალმაშს“ 8 ქულა აქვს, თბილისის „დინამოს“ — 7 ქულა. უკანასკნელი ორი ადგილი ოთხ-ოთხი ქულით უჭირავთ ლენინგრადის სკა-სა და მოსკოვის „დინამოს“.

ღღეს თბილისს დინამოელები ხვდებიან მოსკოველ თანაკლუბელებს.

სურათზე: სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონი კალათბურთში — (სკა-ს გუნდი. სხედან (მარჯვნიდან) — ა. კოვალიოვი, ა. ალიაჩიანი, ა. კულაკოვი, ვ. კაპრანოვი, ა. ასტახოვი; დგანან — ი. კორნეევი, ო. ბოროდინი, ე. ალექსეევი (მწვრთნელი), პ. როდიონოვი, გ. ვოლნოვი, ვ. ზუბკოვი.

ფოტო **გ. კიკვაძისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).



ტურნირები ჭადრაკში

ვენეციაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. პირველ ადგილზე გამოვიდა იუგოსლავიელი გროსმაისტერი **ბ. ივკოვი** (5 ქულა 7-დან). **ვ. ანტონინმა** 4,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. მონაწილეობს 7 ქვეყნის 16 მოჭადრაკე. პირველ ტურში **მ. ტალმა** მოუგო **მ. დამიანოვიჩს, ა. კოტოვისა** და **ლ. პახმანის** პარტია გადაიდო.

მარ-დელ-პლატის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა 7 ტური. ლიდერები არიან **ვ. სმისლოვი** და **ლ. პორტიში** — ხუთ-ხუთი ქულა 6-დან. **ლ. შტეინს** 4,5 ქულა აქვს.

კოპენჰაგენში დანიელი გროსმაისტერის **ბ. ლარსენისა** და **ე. გელერის** მატჩი ფინიშს უახლოვდება. გათამაშდა 7 პარტია. ანგარიშია 4:3 **ბ. ლარსენის** სასარგებლოდ.

სპორტული ქრონიკა

△ საბჭოთა ჩოგბურთელებმა დაამთავრეს გამოსვლა ალექსანდრიის საერთაშორისო ტურნირში. წარმატებით იბრძოდა ბაქშემმ. მან პირველი ადგილი დაიკავა ერთიერთა ასპარეზობაში, აგრეთვე ლიხაჩოვთან ერთად გაიმარჯვა შერეულ წყვილებში; მეტრეველი და ლიხაჩოვი წყვილთა შეჯიბრებაში მეორენი იყვნენ.

△ **კისლოვოდსკში** დამთავრდა „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ზამთრის ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში ბაქოს „ნეფტიანიკმა“ დამარცხა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი“ 2:0 და პირველი ადგილი დაიკავა. ორივე ბურთი ლოკომოტიველთა კარში გაიტანა **ს. მელქუმოვმა.**

1966 წლის 31 მარტიდან 5 აპრილამდე

ქ. თბილისში, სპორტის სახახლეში, ეწყობა **სარესპუბლიკათაშორისო** საბითუმო ბაზრობა სახალხო მოხმარების საქონლის ნამეტის გასაყიდად.

ბაზრობაზე ვიწვევთ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საბითუმო და საცალო ორგანიზაციებს, აგრეთვე სსრ კავშირის ყველა სხტემის სამრეწველო საწარმოებს.

ბაზრობაზე ფართო ასორტიმენტით იქნება წარმოდგენილი სამრეწველო და სახურსათო საქონელი.

ყველა საკითხზე მიმართეთ საქართველოს სავაჭრო-საწუთამავლო კანტორას შემდეგი მისამართით: **ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 9. ტელეფონი 5-76-40 და 5-76-70.**

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ. აცხადებს, რომ 27 მარტს, 17 აპრილს, 22 მაისს თბილისში; 3 აპრილს, 8 და 29 მაისს რუსთავის; 10 აპრილს, 15 მაისს და 5 ივნისს წნორის; 24 აპრილს, 29 მაისს და 12 ივნისს ახალციხის საკონსულტაციო პუნქტებში **დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.**

კონსულტაციები მოეწყობა: თბილისში — ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 32), **ახალციხეში** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში, **წნორში** — ქართული საშუალო სკოლის შენობაში, **რუსთავში** — № 2 მუშა ახალგაზრდობის ცვლიანი საშუალო სკოლის შენობაში (კოლექტივიზაციის ქ